მარიამ ღუდუშაური

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა
Sciences Po, საფრანგეთი

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერასმუსის პროგრამით საფრანგეთში გატარებული რამდენიმე თვე იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი. Sciences Po კავკასიის უნივერსიტეტის ახალი პარტნიორია, შესაბამისად ვიყავი ერთ-ერთი პირველი სტუდენტი, რომელსაც ჰქონდა ბედნიერება ერთი სემესტრი ამ შესანიშნავ უნივერსიტეტში ესწავლა. ამისთვის ძალიან დიდი მადლობა კავკასიის უნივერსიტეტს.

გარდა იმისა, რომ გავიცანი უამრავი ახალი, საინტერესო ადამიანი და დავაგროვე ძვირფასი მოგონებები, მივიღე დამოუკიდებლად ცხოვრების მნიშვნელოვანი გამოცდილება. უფრო ახლოდან გავეცანი არამხოლოდ საფრანგეთის, არამედ მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნის კულტურას და მქონდა შესაძლებლობა, ჩვენი ტრადიციები, წეს-ჩვეულებებიც გამეზიარებინა სტუდენტებისთვის.

ვცხოვრობდი რეიმსში, პატარა, კომფორტულ და სტუდენტურ ქალაქში, რომელმაც თავი რამდენიმე თვეში ძალიან შემაყვარა. ეს არის ქალაქი, სადაც გავიჩინე ახალი მეგობრები, ვნახე ულამაზესი ადგილები და ვისწავლე ახალი გაკვეთილები.

ამ გაცვლითმა პროგრამამ მომცა სრულიად ახალი პერსპექტივა, გამიფართოვა ხედვის არეალი და გამიმყარა უკვე დასახული მიზნები. უნივერსიტეტში იყო საოცარი გარემო და, რაც მთავარია, განწყობა - ყველა სტუდენტი მომართული იყო, ეჩვენებინათ თავიანთი მაქსიმუმი. ეს ბუნებრივად გაძლევდა სტიმულს, ყოფილიყავი საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია.